ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2824020

ნომერი: AR1437989

თარიღი : 06.09.2016

გაცემის თარიღი : 09.09.2016

გაცნობის თარიღი : 09.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზანიშვილი , N 4 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზანიშვილი , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ბერულავა პ/ნ 01024022427
- თბილისი პეკინის გამზ. N 25 ბ. 10

ორგანიზაცია:
- შპს კერია კოდი: 404931892

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენი ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ,რომ ვინაიდან თქვენს მიერ მოწოდებული ვიზუალური მასალით (წარმოდგენილი ფოტოსურათისა და საპროექტო ფოტომონტაჟის მიხედვით) ვერ ხორციელდება საპროექტო ობიექტის სრულფასოვანი აღქმა, რის გამოც სამსახურის მიერ ვერ ხერხდება თქვენს მიერ განსახორციელებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შეფასება, საქმიდან გამომდინარე საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1 მოთხოვნის შინაარსის ტექსტში დააფიქსირეთ განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია (წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ჰორიზონტალური მიმართულებით შენობის შუბლის ნაწილში განსათავსებელი სარეკლამო აბრის ნაწილი აღიქნება როგორც ტენტის ტიპის საჩრდილობელი , ხოლო აივნის ზედაპირზე ხორციელდება არსებული აბრების დემონტაჟი და იღებება არსებული მოაჯირი, თუ ჩვენს მიერ სწორად იქნა აღქმული თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები დამატებით ასარჩევი გექნებათ I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები აბრებისა და რეკლამების განთავსება- დემონტაჟი და საჩრდილობლის მოწყობა - რეკონსტრუქცია)

2 წარმოსადგენია შპს "მომავალი 2005"მესაკუთრის თანხმობა (ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი მამუკა შამუგია) ხოლო რაც შეეხება არსებული აბრების დემონტაჟის საჭიროების შემთხვევაში მათი დემონტაჟის საკითხი შეთანხმებული იქნას იმ პირებთან ვის მიერაც იქნა აღნიშნული აბრები განთავსებული;

3 მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილი იქნას არსებული და საპროექტო ესკიზური ფრაგმენტული ნახაზები საკადასტრო საზღვრის პროექციის დატანით

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.